



საქართველო
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 41 1209

10/07/2019

ხათუნა ~~ხატივაძის~~ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობაზე წითელხევის ადმინისტრაციულ ერთეულში დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.დ“ და „ე.ე“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტების, 45-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N17 დადგენილებისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის 2019 წლის 21 ივნისის N1691-41 მომართვის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დაინიშნოს ხათუნა ~~ხატივაძის~~ (პ/ნ ~~490011002481~~) ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობაზე წითელხევის ადმინისტრაციულ ერთეულში 2019 წლის 10 ივლისიდან;
2. თანამდებობრივი სარგო განესაზღვროს საშტატო ნუსხის შესაბამისად, ~~500 (ხუთასი)~~ ლარის ოდენობით;
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ბაღდათის მაგისტრატ სასამართლოში მისამართზე: ქ. ბაღდათი, ვაჟა-ფშაველას ქ. №7.

არჩილ გოგსაძე

მუნიციპალიტეტის მერი